წერილის ნომერი:**08-37240585**
თარიღი: **27/02/2024**

ადრესატი:

დავით დარჩია
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის მიერ 2023 წლის 01 იანვრიდან - 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათლით გაწეული საქმიანობის ანგარიში

პატივცემულო კოლეგებო! აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისია, რომელსაც ვხელმძღვანელობ 2021 წლის დეკემბრიდან, ორიენტირებულია მუნიციპალიტეტის საერთო ეკონომიკური პოტენციალის, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით სამეურნეო ბრუნვაში მაქსიმალურად ჩართვის შესაძლებლობების გამოვლენასა რაციონალურ და ეფექტურ რეალიზაციაზე.

კომისიის შემადგენლობა განსაზღვრულია 20 საკრებულოს წევრით. კომისიასთან ფუნქციონირებს სამი სამუშაო ჯგუფი, რომლებიც დაკომპლექტებულია შესასრულებელ სამუშაოთა ერთგვაროვნების მიხედვით. კომისიის საქმიანობის ეფექტური ფუნქციონირებისა და შესასწავლი საკითხების ხარისხიანად შესწავლის მიზნით, გეგმაზომიერად ვრთავთ კომისიასთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს მომსახურებას.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა კომისიის 30 სხდომა, მათ შორის რიგგარეშე-6. აღნიშნულ პერიოდში პერიოდულად იმართებოდა სამუშაო ჯგუფების სხდომები, რომელთა უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე საკითხების გარკვეული ნაწილი შედიოდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

გასული საანგარიშო წელი საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა კომისიის საქმიანობაში. წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაფართოვდა შესასწავლ საკითხთა წრე. ყველა საკითხი, რომლებიც განიხილებოდა კომისიის სხდომებზე უშუალოდ გამომდინარეობდა საკრებულოს მიერ დამტკიცებული გეგმიდან და მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ შემოტანილი პროექტებიდან: მოკლედ მოგახსენებთ თუ რა საკითხები იქნა განხილული კომისიის სხდომებზე და რა საბოლოო შედეგები დადგა მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელების შედეგად, ეს საკითებია:

- მუნიციპალიტეტის ქონების ფლობის, განკარგვისა და ქონებით სარგებლობის მარეგულირებელი წესების შემუშავება და გამოყენება პრაქტიკაში;
- იჯარით გაცემული მიწის ნაკვეთების მიზნობრივად გამოყენებისა და საიჯარო ქირის ამოღების ანგარიშების განხილვა;
- ბუნებრივი რესურსების დაცვისა და ეფექტურად გამოყენების პროგრამების დამუშავებისა და დამტკიცების ღონისძიებების მდგომარეობის შესწავლა და განხილვა;
- მუნიციპალიტეტის ქონების, საპრივატიზებო საწყისი ფასისა და სარგებლობის ქირის ოდენობის დადგენის, ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ტიპიური ფორმების დადგენა;
- ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ეფექტურად გამოყენების ღონისძიებების შესწავლა. ამ მიმართულებით დღესაც ვაგრძელებთ შესწავლის პროცესს;
- ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის რესურსების მართვის გაუმჯობესების ღონისძიებების შესწავლა. აღნიშნული პრობლემების შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ლია და გრუნტის წყლის რესურსები, განსაკუთრებით ტექნიკური დანიშნულებისა და მორწყვისათვის ვარგისი წყალი, შესაბამისი ღონისძიებების გატარების შემდეგ სრულიად საკმარისია ამჟამად არსებული და მომავალში უფრო მეტი რაოდენობის მოხმარების დასაკმაყოფილებლად. მომავალში

წყლის რესურსების გამოყენება და მათი ეფექტური მართვა ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსულობების მნიშვნელოვანი წყარო შეიძლება გახდეს;
- მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების (არასასოფლო და სასოფლო-სამეურნეო აღნიშნულების მიწა, შენობა-ნაგებობები, სატრანსპორტო საშუალებები), ეფექტურად გამოყენების შესწავლა;
- მუნიციპალიტეტში 2022 წელს განხორციელებული ეკონომიკური მიმართულების პროექტების განხორციელების ფაქტობრივი შედეგების განხილვა;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პირველადი და კორექტირებული პროექტის განხილვა;
- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სახელმწიფო ბალანსზე რიცხული მიწის ნორმატიული ფასების პროექტის განხილვა და ა. შ;
- მდგრადი განვითარების მიზნების ოზურგეთის მუნიციპალური დოკუმენტის განხილვა და დამტკიცება;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების (2024-2027 წწ.) დოკუმენტის განხილვა;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის განხილვა და დამტკიცება.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა კომისია კონკრეტული საკითხების განხილვის პროცესში აქტიურად თანამშრომლობდა საკრებულოს სხვა მუდმივმოქმედ კომისიებთან. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, წინადადებები და რეკომენდაციები შემდეგი რეაგირებისათვის ეგზავნება მუნიციპალიტეტის მერიას, სხვა სახელმწიფო, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში კერძო სტრუქტურებს. შედარებითი ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ კომისიის მიღებულ გადაწყვეტილებებზე მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ რეაგირების მაჩვენებელი წინა წლებთან შედარებით გაიზარდა და რეალურად 90% აჭარბებს.

კოლეგებო! აუცილებლად უნდა ავღნიშნო კომისიისა და აღმასრულებელი ორგანოს შესაბამის სამსახურებთან ურთიერთ თანამშრომლობის შესახებ. დაბეჯითებით შემიძლია განვაცხადო რომ, ეს ურთიერთობები დახვეწილია, ორიენტირებულია მუნიციპალიტეტის ეფექტური საქმიანობის უზრუნველყოფაზე, მუნიციპალიტეტის რესურსული პოტენციალის ეფექტურად გამოყენებაზე, წარმოშობილი პრობლემების ორივე მხარის უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედების გზით მოგვარებაზე.

ზემოთ აღნიშნულის დასადასტურებლად აღვნიშნავ, რომ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა მერიის ბალანსზე რიცხული ქონების გამოყენების ეფექტურობის მახასიათებლები, რასაც თვალნათლივ ადასტურებს საანგარიშო წლის ბიუჯეტში შემოსულობების მაჩვენებლები, რომლებიც ასე გამოიყურება:
- შემოსავალი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან - 50 705 ათასი ლარი;
- შემოსავალი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობების და ნაგებობის იჯარით ან მართვაში გადაცემიდან - 29 703 ათასი ლარი;
- შემოსულობა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან - 230 384 ათასი ლარი;
- შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვიდან - 137 782 ათასი ლარი;
- შემოსულობა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვიდან - 192 860 ათასი ლარი;
- შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთიდან - 2,23 წლის პერიოდისათვის არ დაფიქსირებულა;
- 2023 წელს ავტომანქანებისა და ჯართის რეალიზაციიდან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ჩაირიცხა 27 188, მათ შორის: ავტომანქანების (4ერთეული) – 13 138 ლარი, ჯართის - 1 4050 ლარი.

მე, როგორც კომისიის თავმჯდომარე, ვმონაწილეობდი საკრებულოსა და მერიის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა თათბირებსა და შეხვედრებში, 5-ჯერ გავიარე კომისიის შესაბამისი მიმართულებით ორგანიზებულ ტრენინგ-სემინარებში, ანალოგიური მიმართულების ტრენინგები გაიარა კომისიის 14 წევრმა. კომისიური მუშაობის ფორმატში 7-ჯერ შევხვდით მოსახლეობის წამომადგენლებს. კომისიამ ჩემი უშულო ჩართულობით მოამზადა სხვადასხვა სახის კორესპონდენციები, რომლებიც გაეგზავნა დანიშნულებისამებრ.

საანგარიშო პერიოდში კომისიის საქმიანობაში გარკვეული ხარვეზებიც დაფიქსირდა, კერძოდ კი :

- ვერ ვუზრუნველყავით კომისიის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული ყველა საკითხის შესწავლა, თუმცა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოდან და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებიდან, აგრეთვე მოსახლეობიდან შემოსული პროექტების, წინადადებების და გადაწყვეტილებების განხილვა ხდებოდა დროულად და ხარისხიანად;
- კომისიის საქმიანობაში შეინიშნებოდა გარკვეული ორგანიზაციული ხასიათის ხარვეზებიც (კომისიის წევრების მიერ სხდომებზე დაგვიანებით გამოცხადება, სამუშაო ჯგუფის შედარებით ნაკლებად აქტიურობა), რომლებიც უნდა გამოსწორდეს.

საბოლოო ჯამში, კომისიამ კარგად იმუშავა. კომისიის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა, წინადადებებმა და რეკომენდაციებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მთლიანად მუნიციპალიტეტის რაციონალურად ფუნქციონირებას.

მადლობა კომისიის ყველა წევრს, საკრებულოს აპარატის თანამშრომლებს კომისიასთან მიმართებით გაწეული საქმიანობისთვის.
მადლობა მერიის შესაბამის სამსახურს კომისიასთან ნაყოფიერი თანამშრომლობისთვი

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე